F

ფასი 2 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თავისუფალი გზა
# Свободный путь

საქართველოს რესპუბლიკის სახაზინო გზების მუშა-მოსამსახურეთა პროფესიონალურ კავშირის ცენტრალურ გამგეობის ყოველ კვირეული პროფესიონალური და პოლიტიკური ორგანო.

Еженедѣльный профессіонально-политическій органъ Союза желѣзнодорожниковъ казен. дорогъ Грузинской Республики.

Цѣна 2 руб.

თბილისი, შაბათი—კვირა 19—20 ივლისი 1919 წ.

Тифлисъ, Суббота—Воскресенье 19—20 іюля 1919 г.

# დავეხმაროთ ფრონტს... ВСЕ ДЛЯ ФРОНТА.

## თავდაცვისათვის

თავდაცვისათვის შეერთდა მტკიცე სამხედრო კავშირით ორი რესპუბლიკა. თავდაცვისათვის დაივიწყეს სფეროებმა და მართველმა წრეებმა ყოველი დასჯა და უთანხმოება ერთმანერთ შორის, გადადვეს განზე სოციალ-პოლიტიკური განსხვავებანი, რომ დაიცვან რესპუბლიკის ხალხის ხელი და ღირსება.

დემოკრატია კი ორივე რესპუბლიკის გულმხურვალეთ შეხვდა ამ შეერთებას. მან ამაში იგრძნო თავის ტრადიციულ მუდმივ მისწრაფებათა განხორციელება. ერთათ შედუღებულნი ინტერესებით, წარსული საერთო მანძილით და თანამშრომლობით, სულით და გულით განუყოფელნი, დღეს მით უფრო სიამოვნებით გადაეხვივნენ ერთმანეთს და შავი რეაქციის კლანჭების მოქნევაზე თანამეზობლურათ, ენერგიულათ საერთო ბრძოლის ყიჟინით უპასუხეს.

გაჭირვებამ დაარღვია ჩვენი ერთობა, გაჭირვებამ დღეს შეაერთა იგი.

და ამიტომა ფრონტის დღე, რომელსაც აწყობს საქართველოს რესპუბლიკა, ეს ორივე რესპუბლიკის დღეა. ჩვენ დღეს საერთო გვაქვს ფრონტი, კარს მომდგარი ჭირი და საერთო გვაქვს იმედი და ენერგია მის მოსაცილებლად.

გაგრის ფრონტი იმავე დროს აზერბეიჯანის ფრონტიცაა და დაღესტნის საზღვრები იმავე დროს საქართველოს საფრთხეს წარმოადგენს.

ჩვენ უნდა ორთავეს გავუხდეთ მტკიცე დარაჯათ და მხნე დამცველად.

დღეს საქართველოს დემოკრატია თავის დემოკრატიულ რევოლიუციონერ ჯარს ესალმება. ფრონტზე მდგარ ძმებს, გულმკერდი რომ მტრისთვის მიუშვერიათ, აქ ზურგს უმაგრებს, იმედის სხივს აპკურებს, თანაგრძნობის თბილ გრძნობათა მორევში ხვევს, სალმუნებას უტკბობს, ჭრილობას უსიამებს.

და თქვენ, ვინც აქ სხედხართ, განა არ გმართებთ იმ ხალხის სამსახური?

და მე მოგიწოდებთ ვისაც გაქვთ წვლილი, გაიღეთ იგი ჩვენი სახელოვანი მხედრობისათვის. იგი დღეს ჩვენი არსებობის მცველია.

ვინც აქ სტკბებით სიცოცხლის სიამით და უკვე დამყუდროებულ ცხოვრების სიკეთე გიგრძნიათ, მიაწოდეთ თქვენი ნაშრომის ერთი წილი სანგრებში მხდომთ.

გახსოვდეთ, რომ მათი სანგარში გამტვერიანებული სახე ქმნის თქვენთვის აქ ბედნიერ ყოფის შესაძლებლობას.

ვინც ერთა სოლიდარობას და დემოკრატიის ნუგეშს—მის შეიარაღებულ რევოლიუციონურ გულმკერდს, ეტრფიალებით, აჰა, დრო დადგა თქვენი ტრფიალი საქმით გამოიჩინოთ. გაიღეთ მათ სასარგებლოთ თქვენი სუფრიდან.

ვინც დიდძალ ქონებას, ამ დღეთა ორომტრიალში მუქთათ შეძენილს, დახარით და სიამაყით ერის სიმდიდრის უდიდესი ნაწილის დასაკუთრებას ცამდე აუყვანიხართ, შეიგნეთ, რომ მხედარი, რომლის სისხლის წვეთები ურევია მაგ თქვენ ქონებაში, თავის წილს მოითხოვს თქვენგან.

ნუ თუ გააწბილებთ დღესაც, როცა თვით არსებობა თქვენი შემოსავლისა მხოლოდ მათ თავდადებაზე არის დამოკიდებული?

ორივე რესპუბლიკის მოქალაქენო და დემოკრატიის ყველა გულშემატკივარნო, იმედის ნუგეშით მიეცით თქვენი ხელი და ნახელავი რევოლიუციის სიამაყეს, თქვენს პატარა, მაგრამ მხნე და შეგნებულ რაზმს, ფრონტზე გამაგრებულს.

სალამი რევოლიუციის ნაშობთ! სალამი ფრონტს, და დიდი, რაც შეიძლება დიდი დახმარება მის თავგანწირულ მხედართ.

მოქალაქენო, მოიხადეთ თქვენი მოვალეობა.

**რ. არსენიძე**

## ფრონტის დღე

რევოლუცია ერთგვარი გამოცდაა ყოველი ერისათვის და მით უმეტეს ისეთი ერისათვის, როგორსაც ჩვენ წარმოვადგენთ.

თავის უფლებისათვის ბრძოლის ქარიშხალში ყოფილმა ერმა უნდა დაამტკიცოს, არის თუ არა ის ღირსი თავისუფლებისა.

ჩვენ რომ შეგვძლებოდა წინდაწინვე გაგვეთვალისწინებია ყველა ის დაბრკოლება და საფრთხე, რაც შემდეგში წინ გადაეღობა ჩვენს თავის უფლებას და დამოუკიდებლობას, თქმა არ უნდა, ბევრი ჩვენგანი შედრკებოდა, სასოწარკვეთილებას მიეცემოდა.

და მართლაც, რომ გადავავლებთ თვალს განვლილ გზას და წარმოვიდგენთ, რისი გაკეთება შეძლო ამ მოკლე, მაგრამ მეტათ გრძელ დროს ჩვენმა ხალხმა, ერთ უტყუარ დასკვნას მივიღებთ: ჩვენი დემოკრატია ღირსია თავისუფლებისა, მან დაიმსახურა ეს თავისუფლება და ველარავინ გამოჰგლეჯს მას ხელიდან.

ჩვენ ვიყავით თავისუფალი და დამოუკიდებელი, მაგრამ ჩვენი წინაპრები იძულებული იყვნენ ხელი აეღოთ თავისუფლებაზე, რადგანაც მისი დაცვა შეუძლებელი გახდა: მეტათ საშინელ პირობებში ცხოვრობდა ქართველი ერი.

. განვლო მთელმა საუკუნემ, რევოლიუციამ შექმნა ჩვენში და ჩვენს გარეშემო ისეთი პირობები, რომ ერის კეთილდღეობისათვის საჭირო გახდა დამოუკიდებელი რესპუბლიკის აშენება.

ჩვენმა დემოკრატიამ მოჰკიდა ხელი ამ მძიმე საქმეს და მყისვე გაჩნდენ ის აუტანელი პირობები, რომლებიც ისტორიულათ თან სდევდენ ჩვენს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას.

რატომ არ მოვისპეთ, რატომ არ გავნადგურდით? რატომ არ დავკარგეთ თავისუფლებაც, დამოუკიდებლობაც?

სხვა ჩვენს ალაგას მართლაც დაჰკარგავდა ყოველივე ამას, სიცოცხლესაც გადაატანდა.

მაგრამ პატარა ერმა სძლია ყოველგვარი განსაცდელი, გადალახა ყოველგვარი დაბრკოლება და გამარჯვებული გამოვიდა.

იმიტომ რომ ეს დემოკრატია იყო ძლიერი თვისი შეგნებითა და შეკავშირებით.

ჩვენი რევოლუცია, ჩვენი თავისუფლება და დამოუკიდებლობა იხსნა და გადაარჩინა ჩვენმა მუშა ხალხმა.

უდიდესი განსაცდელის დროს მან აისხა იარაღი, შეადგინა სახალხო გვარდია და თვისი სისხლით დაიცვა ნორჩი რესპულიკა და რევოლუცია.



**სახალხო გვარდიის მთავარი შტაბი.**

Главный штабъ Народной Гвардіи.

სახელი და დიდება მუშა ხალხის გულიდან გამოსულ სახალხო გვარდიის.

დამოუკიდებლობა, თავისუფლება, დემოკრატიული რესპუბლიკა და გვარდია ჩვენში დღეს განუყოფელია, განუყრელი.

გვარდია თუ არ ყოფილიყო, ჩვენ არარანი ვიქნებოდით, ჩვენ არაფერი არ გვექნებოდა.

გვარდიამ მოგვცა ჩვენ ყოველივე, გვარდიამ დაუმტკიცა მთელს ქვეყნიერობას, რომ ჩვენი დემოკრატია ღირსია თავისუფლებისა.

თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის პირველ დღეებში, როდესაც ჩვენს წინააღმდეგ აღიმართა მახვილი ჩვენი ისტორიული მტრის ოსმალეთისა, ჩვენ შეგვრჩა ძველი წყობილებიდან ნაგლეჯები ძველი ჯარისა, ნათქვამია: წყალ წაღებული ხავსს ეკიდებოდაო.

ჩვენც დავეკიდეთ ამ ხავსს—ძველი ჯარის ნაგლეჯებს, მაგრამ ჩვენ სასტიკათ დავმარცხდით.

მას შემდეგ ჩვენ შევუდექით ახალი ჯარის შექმნას. დღეს ჩვენ გვყავს რესპუბლიკის, რევოლუციის ჯარი, რომელიც სიცოცხლეს შესწირავს ჩვენს რესპუბლიკას და დამოუკიდებლობას.

მაგრამ ჩვენ ვერ შევქმნიდით ამ ჯარს, მტერი არ მოგვცემდა ამის საშუალებას, მტერი არ დაგვაცლიდა, რომ ჩვენ გვარდია არ გვყოლოდა.

ჩვენი მიზანია ამ მხრივ სახალხო მილიცია; გვარდია ჩანასახია სახალხო მილიციისა.

და ჩვენ ვერ შეველევით გვარდიას მანამდე, სანამ მთელი ჩვენი ჯარი არ გადიქცევა გვარდიათ, ა. ე. სახალხო მილიციათ.

თავისი როლი მხოლოდ მაშინ ექნება შესრულებული ბოლომდე გვარდიას. მაშინ ჩვენ დავუდგამთ ჩვენს გვარდიას ძეგლს ჩვენი დედა ქალაქის ერთ ერთ მოედანზე, მდაბლათ დავუკრავთ მას თავს და ვეტყვით: აქამდის იბრძოდით ბრძოლის ველზე იარაღით ხელში, დღეს იბრძოლეთ პოლიტიკურ ორგანიზაციებსა და კავშირებში ჩვენი საბოლოო მიზნის,-სოციალიზმის გულისათვის.

დღესკი ჩვენთვის ჯარიც საჭიროა; გვარდიაც.

გადაავლეთ თვალი ჩვენს ახალ ისტორიას: ჩვენმა ნორჩმა ჯარმა და გვარდიამ უკვდავი სახელი დაიმსახურეს.

რამდენი ფრონტი გვქონდა ჩვენ ზოგი შინ, ზოგი გარეთ!

მაგრამ ჩვენმა ჯარმა და გვარდიამ შემუსრა ყველა მტერი და ჩვენი დემოკრატიულ რესპუბლიკის მზე არავის დააბნელებია.

ჩვენ სრული უფლება გვაქვს, ვამაყობდეთ ჩვენი ნორჩი ჯარითა და გვარდიით.

ჩვენ ჩავუნერგავთ ჩვენს შვილებს სიყვარულს ჩვენი ჯარისა და გვარდიის სადმი.

ჩვენ შევამკობთ ჩვენი ჯარისა და გვარდიის ამაყ თავს უკვდავების გვირგვინით.

ჩვენ გადავსცემთ ყველა თაობას, ისტორიას ჩვენი ჯარისა და გვარდიის საგმირო, საარაკო საქმეებს.

საუკუნენი განვლენ და დაბნელდებიან, მაგრამ ჩვენი ჯარისა და გვარდიის ბრწყინვალე სახელი არასოდეს არ ჩაქრება და მ თ ხსოვნას ყოველი შემდეგი თაობა თაყვანსა სცემს, როგორც თავის სიწმინდეს. ხალხი, რომელმაც ასეთს პირობებში დაივიწყა ყოველივე და თავისუფალი სამშობლოს გადარჩენა მიზნათ დაისახა, ღირსია თაყვანის ცემისა.

შესანიშნავია ერთი უდიდესი ღვაწლი ჩვენი ჯარისა და გვარდიისა: მათ საძირკველი ჩაუყარეს ამიერ კავკასიის ერთა შორის ძმობა სოლიდარობას. მათ ხიდი გასდეს საქართველოსა და აზერბეიჯანის დემოკრატიის შორის.

ადრე თუ გვიან ეს ხიდი სომხეთის დემოკრატიისაკენაც გაიდება.

ჩვენ ვამაყობთ იმ სოლიდრობით, ჩვენ მასზედ ვამყარებთ დიდ იმედებს.

და ამ სოლიდარობას სჭედავს ჩვენი ჯარი და ჩვენი გვარდია

ამიტომაც ფრონტის დღე ჩვენი ჯარისა და გვარდიის დღე კი არ არის მარტო, ეს მთელი საქართველოს დემოკრატიის დღე არის

ეს დღე საქართველოს ყოველი მოქალაქის დღესასწაულია.

ჩვენი ჯარი და გვარდია სისხლსა ღვრის და სიცოცხლესა სწირავს ჩვენს თავისუფლებას.

ჩვენ მოვალენი ვართ განსაკუთრებით აღვნიშნოთ ეს დღეს, ფრონტის დღეს, განსაკუთრებულის ზეიმით და მხიარულებით შევეგებოთ და გამოვილოთ ჩვენ-ჩვენი წვლილი ჩვენი ჯარისა და გვარდიის პატივსაცემლათ

ჯარი და გვარდია სდარაჯობს მარტო ჩვენ თავისუფლებას კი არა, ჩვენს სიცოცხლესა და ჩვენს ქონებას.

სირცხვილი მას, ვისაც ეს არ ესმის და ვინც დღეს გულ-უხვი არ იქნება.

**ივ. გომართელი**

## Нашъ фронтъ.

Нашъ фронтъ—фронтъ демократіи.

Наши знамена—старыя, обвѣянныя славой безчисленныхъ битвъ, знамена международнаго рабочаго движенія, шагъ за шагомъ прокладывающаго себѣ путь къ свѣтлому царству соціализма.

Соціализмъ—нашъ идеалъ, какъ и идеалъ всего міровoго пролетаріата.

Демократизмъ—тотъ путь, которымъ мы подымаемся къ этому идеалу.

Кремнистый, тяжелый путь! Надъ стремнинами, порой надъ бездонными ущельями анархіи, порой вдоль зыбкихъ болотъ оппортунизма пробитъ этотъ путь нашими учителями, великими мыслителями соціализма, свернешь влѣво съ этого пути—сорвешься въ бездну, въ глубинѣ которой бѣлѣютъ кости тѣхъ, кого увлекли лозунги максимализма—отъ Бакунина до Ленина. Уклонишься вправо—и нога увязнетъ въ жидкой тинѣ, и липкая грязь постепеновизины, компромисса, приспособленія къ подлости засосетъ и поглотитъ тебя.

Узкой лентой вьется надъ ущельями, вдоль болотъ путь борьбы рабочаго класса за его идеалы.

Легко сбиться съ дороги. Но вѣчное солнце научнаго соціализма освѣщаетъ этотъ путь. И твердо, увѣренно, сомкнутыми рядами движется впередъ армія рабочихъ—соціалистовъ.

Давно, давно двинулась въ путь эта армія. Долгіе годы, при царизмѣ, шли мы неустанно впередъ, сквозь бури, градъ, непогоду. И не было силы, которая могла бы остановить насъ...

Съ дорожными посохами въ рукахъ, съ вѣрой въ идеалы соціализма въ сердцахъ долгіе годы шли мы впередъ.

И старымъ, испытаннымъ путемъ идемъ мы теперь.

* * *

Нашъ фронтъ—фронтъ демократіи.

Долгіе годы нашимъ оружіемъ было лишь свободное, правдивое слово. Этимъ оружіемъ мы боролись, этимъ оружіемъ побѣждали, въ этомъ оружіи была наша сила. Враги стремились къ тому, чтобъ внести разстройство въ наши ряды. Мы словомъ пропаганды отвѣчали на ихъ удары, и вокругъ нашего знамени собиралось все больше бойцовъ.

Но пришла революція, когда въ рѣшительной схваткѣ сошлись народныя массы и ихъ угнетатели. Желѣзомъ и кровью должна была разрѣшиться старая, многовѣковая тяжба.

И въ рѣшительной схваткѣ нашъ клинокъ оказался тверже, надежнѣе, чѣмъ оружіе нашихъ враговъ.

Власть выпала изъ рукъ угнетателей народа.

Рабочіе и крестьяне стали хозяевами своей судьбы.

И встала передъ ними задача: организовать новую власть, создать новое государство, которое было бы не темницей, а просторнымъ, свѣтлымъ дворцомъ для народныхъ массъ.

Въ ходѣ этой работы смѣшались у насъ языки, какъ при постройкѣ Вавилонской башни. Отдѣльные отряды демократіи перестали понимать другъ друга. Непримиримая вражда вспыхнула тамъ, гдѣ требовалась дружная работа. Гражданская война въ рядахъ демократіи смѣнила единодушный порывъ къ осуществленію общей свѣтлой цѣли.

И вотъ—уже нѣтъ стройной, единой арміи Труда,..

Отдѣльныя толпы бредутъ сквозь кровавый туманъ безумной не слыханной смуты. И братская кровь, кровь крестьянъ и рабочихъ льется по скрещеннымъ во мракѣ клинкамъ на безчисленныхъ внутреннихъ фронтахъ.

За Ленина и Троцкаго!

За Колчака и Деникина!

И здѣсь и тамъ темные, ослѣпленные, насильно загнанные въ строй ра-

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოქალაქენო! მიხედეთ ფრონტს

бочіе и крестьяне безъ счета отдаютъ свои головы чужому ихъ дѣлу. И кто ни побѣдилъ бы въ этой борьбѣ, не принесетъ эта побѣда народу ни свободы, ни счастья.

Подъ лозунгомъ «Совѣтская власть» комиссародержавіе отстаиваетъ свою диктатуру. Подъ лозунгомъ „Возстановленіе Россіи" прокладываетъ себѣ путь къ диктатурѣ черная реакція...

И точкой въ безбрежномъ морѣ кажется въ наступившемъ хаосѣ нашъ крошечный отрядъ, отрядъ демократіи Грузіи...

***

Предатели! Измѣнники! злобно шипятъ вокругъ насъ черносотенцы, большевики и подыгрывающіе то черносотенцамъ, то большевикамъ обыватели.

Вы предали Россію! кричатъ одни.

Вы измѣнили Соціализму! вопятъ другіе.

Вы поддерживаете большевиковъ!

Вы подерживаете Деникина!

Посреди этого злобнаго улюлюканія продолжаемъ мы нашъ путь, продолжаемъ нашу борьбу и оружіе не дрожитъ въ нашихъ рукахъ.

Ибо въ измѣнѣ Россіи насъ упрекаютъ злѣйшіе враги русскаго народа, готовые всю страну обратить въ безгласное кладбище! А въ предательствѣ соціализма насъ обвиняютъ люди, нанесшіе мировому соціалистическому движенію тягчайшіе удары и объявившіе лучшихъ учителей и вождей соціалистическаго пролетаріата измѣнниками!

Тѣмъ, кто ставитъ въ виду намъ мнимое сотрудничество съ ген. Деникинымъ, мы говоримъ:

— Прислушайтесь, какъ воетъ противъ насъ деникинская свора на всемъ пространствѣ; гдѣ царитъ Добровольческая Армія!

Тѣмъ, кто обвиняетъ насъ въ союзѣ съ большевиками, мы говоримъ:

— Почитайте, что пишутъ о насъ комунисты!

Мы остались на старомъ пути.

Этотъ путь—узкая, порою извилистая тропа. Она вьется надъ пропастью анархіи. Къ соціализму она ведетъ черезъ демократизмъ. И съ этого пути мы не сойдемъ ни вправо, ни влѣво.

Встаютъ передъ нами враги. Мы встрѣтимъ ихъ грудью, кто бы ни были они, подъ какимъ бы лозунгомъ ни шли они противъ насъ.

Совѣтскую ли власть или власть Колчака хотятъ силой навязать намъ, мы готовы ударами отвѣтить на ударъ, силу противопоставить насилію, равнымъ оружіемъ отразить нападеніе.

***

Мѣняются враги передъ нашимъ фронтомъ.

Давно ли Народная Гвардія отбросила отъ границъ Грузинской Республики большевитскія банды? А теперь передъ нею отряды офицеровъ—добровольцевъ и насильственно мобилизованныхъ ген. Деникинымъ казаковъ.

Но нашъ фронтъ—все тотъ же, что былъ много лѣтъ тому назадъ, при царизмѣ.

Тѣ же вожди, тѣ же борцы, тѣ же идеалы, та же твердая вѣра въ побѣду, та же непреклонная рѣшимость побѣдить или погибнуть.

И потому въ *„день фронта"* сильнѣе бьются наши сердца, глубже, отчетливѣе чувствуемъ мы величіе подвиговъ нашей Народной Гвардіи и тѣсную неразрывную связь ея дѣла со всей нашей многолѣтней, упорной борьбой за идеалы демократіи, за идеалы соціализма.

Вл. В.

## Побѣда милліардеровъ или побѣда рабочихъ

Кончилась міровая война. 5 лѣтъ потопами лилась кровь, 5 лѣтъ разрушалось и истреблялось все, что вѣками въ потѣ лица создавалось человѣчествомъ. Наступилъ долгожданный миръ; казалось вотъ теперь время отдохнуть отъ кровавого кошмара, приняться за мирный трудъ Наступилъ миръ. Но весь міръ по прежнему подъ ружьемъ. Всюду идутъ бои, всюду льется кровь. Міровая война началась изъ за борьбы одной группы капиталистовъ съ другой. За пять лѣтъ они какъ пауки пожирали другъ друга. На полѣ брани остался одинъ побѣдитель.—Національный капиталъ каждой страны погибъ въ бою, побѣдилъ международный, мировой трестъ американскихъ миллардеровъ и тотъ трестъ сейчасъ хочетъ закрѣпить свою побѣду. Какъ побѣдили милліардеры? Самихъ ихъ не видно было въ окопахъ. Тамъ по ту и другую сторону сидѣли и умирали рабочіе и крестьяне. Американскіе тресты выждали, когда истощились силы всѣхъ воюющихъ, когда молоху войны были пожертвованы милліоны жизней, когда на материкѣ истощены были всѣ производительныя силы и вотъ тогда то они поставили послѣднюю ставку. Широкой волной полилось ихъ золото, они заставили работать на войну всю свою промышленность. И послѣдняя ставка взяла призъ. Для нихъ это была безпройгрышная лотерея, американскій аукціонъ, гдѣ послѣдній предложенный пятакъ беретъ всю ставку. Ставку они взяли, врагъ обезсиленный, униженный вынужденъ подписать самый позорный, самый тяжкій мирный договоръ. Миръ заключенъ, но одного не учли побѣдители. Въ ходѣ войны рушились самыя прочныя государстренныя организаціи буржуазіи. Въ однѣхъ странахъ рабочій классъ оказался у власти, въ другихъ—рабочіе этой власти добиваются.



რკინის გზის გვარდიელები თბილისის სადგურზე (გვარდიის დღე 12 დეკ. 1918 წ.).

Железнодорожные гвардейцы на ст. Тифлисъ. (День Гвардіи 12 дек. 1918 г.).

Въ станѣ побѣдителей тревожно. Койгдѣ спѣшно замазываютъ соціальными пластырями нанесенныя войной раны, мелкими подачками стараются успокоить рабочихъ. И въ то же время готовятъ новую армію «добровольцевъ» противъ рабочихъ, что бы въ новыхъ потокахъ крови затопить рабочее движеніе. Старая армія—вооруженный народъ, который сознательно или безсознательно защищалъ свое отечество—эта армія для новой цѣли не годится. Покупается новая армія—армія наймитовъ, ландекнехтовъ. Война выбросила за бортъ не малое количество генераловъ, офицеровъ, которые ни къ чему кромѣ военной службы не пригодны. Пока прочно стояли троны, они служили опорой этимъ тронамъ, потому что вѣнценосцы щедро дѣлились съ ними всѣмъ, что выжималось изъ народовъ. Теперь эти безработные рыцари готовы продать свою шпагу всякому, кто имъ заплатитъ. Деникинцы, Колчаки, Маннергеймы, Галлеры—имя имъ легіонъ. На американское золото имъ дали тогу спасителей отечества. На американское золото вербуютъ они все, что осталось темнаго, хищнаго, паразитическаго отъ дореволюціоннаго времени. Шпіоны, жандармы, полицейскіе, казнокрады всѣхъ странъ всѣхъ народовъ соединились, чтобы за хорошую плату задушить рабочее движеніе. Безъ окончательной побѣды надъ международнымъ рабочимъ движенемъ не можетъ быть реализована побѣда американскихъ милліардеровъ. Побѣждены этой арміей наемниковъ должны быть не только россійскіе, венгерскіе, польскіе, украинскіе и др. большевики, долженъ быть побѣжденъ весь рабочій классъ и въ странахъ побѣдителей и въ странахъ побѣжденныхъ.

Деникины и Колчаки приказчики не русскихъ реакціонеровъ, они продались американскому тресту и исполняютъ его велѣнія. А задача—треста побѣдить все рабочее движеніе, а не только большевитскую нечисть. И въ этой задачѣ американскіе милліардеры могутъ смѣло расчитывать на помощь побѣжденной ими буржуазіи всѣхъ странъ. Это положеніе рабочіе должны учесть. Для рабочихъ всего міра вопросъ идетъ сейчасъ въ томъ, будутъ ли они въ дальнѣйшемъ рабами, обреченными на долгіе годы влачить позорныя цѣпи рабства или они сейчасъ положатъ основаніе свѣтлому будущему, торжеству конечной цѣли всего рабочаго движенія. Побѣда наемниковъ американскаго треста—это торжество надъ всѣмъ рабочимъ движеніемъ. Это должны ясно понять, это должны твердо помнить рабочіе. И въ борьбѣ съ этими наемниками, какъ бы не называли они себя—должны быть забыты партійныя разногласія, должны быть отложены всякіе партійные счеты. Рабочіе всѣхъ странъ, всѣхъ національностей, всѣхъ партійныхъ теченій должны понять, что уничтоженіе Деникинской и еиу подобныхъ армій наемниковъ это—должно быть долгомъ всѣхъ рабочихъ.

М. Лядовъ.

## ის მოკვდა
### (ესკიზი)

ის მოკვდა...

ბრძოლის ველზე დაეცა მამაცურათ...

მტრის ტყვიით გულგანგმირულს, მწარე ტანჯვებით გარემოცულს, საშინელ ტკივილებით გულშეწუხებულს უკანასკნელ წამებშიაც მხოლოთ ერთი რამ ახსოვდა, მხოლოთ ერთ რაიმეზე ლოცულობდა: —სამშობლო!..

თავისუფალი სამშობლო...

ტურფა, კოხტა მხარე...

განთავისუფლებული ერი...

ხუნდებ—შემოხსნილი ხალხი...

ის მოკლეს... მაგრამ მის პირზე ღიმილი არ მომკვდარა... ის ბედნიერათ სთვლიდა თავს, რომ ხალხისთვის მოკვდა...

ბრძოლის ველს გამოეთხოვა სრული იმედით, რომ თავისუფლება დაცული იქნება, საზიზღარი მტერი ვერ წაბილწავს თავისუფლების ტაძარს, ბორკილებისგან განთავისუფლებული ხალხი შესძლებს თავისუფლების შენარჩუნებას...

აი კიდეც შესწყდა ბრძოლა...

ჩადგა მძაფრი ქარი... ღელე ღრიალებს...

ველ-მინდორიც მიდუნებულა, თითქო შიშობს გულზე მოწყვეტილ გმირთ გაღვიძებას.

დამარცხებული მტერი მთა—ღრეებს აფარებს თავს... გარბის...

თავისუფლებისთვის მებრძოლთა ბანაკში სიხარულია...

მაგრამ ამ სიხარულს ხშირათ მწუხარებაც ენაცვლება...

ბევრი გამოეთიშა მათ მებრძოლ რაზმებს..

მტარვალმა ხელმა ბევრს საუკეთესო ამხანაგს გაუგმირა გული...

ეს უკლავს გულს თავისუფლებისთვის მებრძოლთ...

ტირილით ეთხოვებიან გმირებს...

მაგრამ ბედნიერათაც სთვლიან თავს, რომ მტრის წინ არ შედრკა რევოლიუციის რაზმი და გმირულათ შეუტია მტარვალებს. .

—

იქ, კი, შორს, ფრონტის ზურგში, ქალაქის განაპირა უბანში ტკბილათ ესაუბრება ახალგაზრდა დედა თავის პატარა გოგონას:

— პაპა ჩქარა მოვა... რას ეტყვი პაპას, რო მოვა?..

— ვაკოცებ და ვკითხავ რამდენ მტერს ესროლა თოფი და მოკლა...

— სად გიყვარს პაპა, აბა მაჩვენე?

— აი ყელში... დედიკო, ჩქარა მოვა პაპა? რამდენი ხანია რაც წავიდა?

— ჩქარა, თამრიკო, ჩქარა... აგერ თვეა რაც ომშია... დღეს ტელეგრამაც იყო მტერი დაამარცხესო... აღბათ, ჩქარა აქ იქნება და გამარჯვებასაც მოგვილოცავს...

—

საღამოა.

მუშათ უბანში სრული სიწყნარეა..

დღიურ ჯაფით დაღლილ-დაქანცულები უკვე ძილს მისცემიან.

პაწია თამრიკოსაც კაი ხანია ჩასძინებია.

დედა კი ზის მის ახლო და ფიქრებში წასული...

— ნეტა რა ამბავია? რატომ არაფრს იწერება პეტრე?.. თვეზე მეტია რაც არაფერი ისმის...

ტიკ-ტუკ!... ტიკ-ტუკ!..

ვიღაც კარებს უკაკუნებს.

— ინებეთ დეპეშა!..

ქალს გული მიუდის... რა ამბავია?..

ერთხანს გაშტერებული ჩასცქერებოდა ასოებს, ვერ გაეგო სიზმარი იყო ეს თუ ცხადი, მერმეთ კი გულწასული, მუხლებ მოსერილი დაეცა...

გვიან იყო, როცა ქალი გონს მოვიდა...

სახე გაფითრებული, გონება არეული ის ძლივს მივიდა თამრიკოს ლოგინთან და ჩახედა თვალებში ტკბილათ მძინარე ბავშვს...

წყნარი ტკბილი ძილით ეძინა თამრიკოს... მის ტკბილ ძილს არ აფრთხობდა საშინელი ამბავი, მამის სიკვდილი...

დიდხანს ჩასცქეროდა ბავშვს დედა და ცხელ ცრემლებს აფრქვევდა ლოგინზე...

— თამრიკო! აწ ვერ იხილავ შენს საყვარელ პაპას...

ვერ ჩაიკრავს გულში შენი საყვარელი მამილო...

ის შეეწირა ხალხს, თავისუფლებას... მან ანაცვალა ჩვენი თავი ხალხს... მეტი რა დაგვრჩენია, ჩვენც წავიდეთ ამ ხალხთან...

დღეიდან უპატრონონი, ქვრივ-ობოლნი, შევერიოთ ამ ხალხში და მასთან ერთად ვილხინოთ და ვიტიროთ...

მოსთქვამდა გულჩათუთქული ქალი...

მზე კი კაი ხანია ამოსულიყო...

მუშათა უბანი უკვე გარეთ გამოფენილიყო...

პეტრეს სიკვდილი მათაც გაეგოთ და ხალხი თანდათან იყრიდა თავს გულდათუთქულ დედა-შვილთან...

— ნუ გეშინიათ, გულს ნუ გაიტეხთ, თავისუფლებისთვის მებრძოლთა ოჯახი ჩვენი საკუთარი ოჯახია...

— სატირალია მხოლოთ ის, ვინც ლაჩრობს, ემალება თავის მოქალაქეობრივ მოვალეობას,—პეტრე კი ბედნიერია...

— პეტრეს ქვრივ-ობლებს ჩვენ შეუშრობთ ცრემლებს...

ისმოდა ხალხის ხმა..

და ამ გამამხნევებელ ხმებში ქვრივობლთ უშრებოდათ თვალს მოდენილი ცრემლები... არჩილ რუხაძე



ვ. ჯუღელი და გენ. ახმეტელოვი ათვალიერებენ გვარდიელებს. (გვარდიის დღე 12 დეკემ. 1918 წ.).

В. Джугели и ген. Ахметеловъ обходятъ ряды гвардейцевъ (День гвардіи 12 дек. 1918 г.).

## День фронта.

День фронта!

Всегда и вездѣ идеаломъ соціалистической демократіи было отсутствіе фронтовъ, войнъ, взаимнаго человѣкоистребленія.

Идеалъ рабочаго класса, вдохновляющій его въ тяжелой, упорной борьбѣ, отрицаетъ насиліе человѣка надъ человѣкомъ, народа надъ народомъ, страны надъ страной.

Но, сколько разъ въ защиту своихъ идеаловъ приходилось демократіи поднимать оружіе! На сколькихъ фронтахъ приходилось ей лить кровь, борясь за тотъ конечный и великій идеалъ, когда фронтовъ не будетъ болѣе на освобожденной землѣ.

День фронта!

Съ той минуты, когда демократія Грузіи взяла въ свои руки судьбы своей страны, ея границы стали сплошнымъ, безпрерывнымъ фронтомъ.

И не потому, что демократія Грузіи стремилась кого-нибудь завоевывать, стремилась кому бы то не было навязать свою волю, ея сынамъ приходилось тамъ много лить крови на рубежахъ своей земли!

Нѣтъ. Тотъ маленькій клочекъ земли, гдѣ сохранились завоеванія великой россійской революціи, сталъ постояннымъ объектомъ нападеній всѣхъ анархическихъ, всѣхъ контръ-революціонныхъ силъ.

Разрушенная въ обломкахъ лежала крѣпость революціонной Россіи. Между разрушенными башнями, между упавшими камнями шла братоубійственная бойня. И только на одной ея башнѣ по прежнему не спускался флагъ революціи, по прежнему въ отвѣтъ на угрозы враговъ раздавались съ ея стѣнъ старые призывы, старые революціонные лозунги.

И эту башню разрушенной крѣпости демократія Грузіи сумѣла превратить въ новую, грозную крѣпость свободы.

И, естественно, что на эту крѣпость не прекращается нажимъ враговъ.

Шли полчища турокъ, въ неведѣніи своемъ исполнявшіе волю безумныхъ имперіалистовъ младотурецкаго лагеря, имперіалистовъ, не видящихъ, какую раковую участь готовятъ они своей собственной странѣ.

Бились о границы Грузіи, вздымались въ ея предѣлахъ волны темныхъ, анархическихъ силъ.

Наступали спровоцированные слѣпыми авантюристами полки, хотѣвшіе разрушить Грузію въ угоду эриванскимъ маузеристами.

Пытались вторгнуться въ предѣлы страны и нынѣ стоятъ у ея рубежей черныя силы россійской генеральской реакціи. Всѣ эти попытки, всѣ эти нападенія, весь этотъ безпрерывный натискъ враждебныхъ силъ отразила демократія Грузіи, отразила, поливъ дорогой кровью лучшихъ своихъ сыновъ ту землю, которую она защищала.

Славныя воспоминанія долженъ пробудить въ гражданахъ республики „день фронта"!

Гордость своей страной, гордость своей демократіей, вѣру въ ея конечную побѣду долженъ пробудить онъ въ ихъ сердцахъ!

Но въ то же время этотъ день долженъ напомнить гражданамъ объ ихъ гражданскомъ долгѣ, о неоплатномъ долгѣ ихъ предъ бойцами на фронтѣ!

Поля и холмы на Чолохѣ, тѣснины Дарьяльскаго ущелія, долина Бзыби, горы Ахалциха видѣли нашу гвардію и армію—на всѣхъ этихъ фронтахъ отстаивали и отстояли свободу своей страны ея войска.

И теперь въ сырыхъ окопахъ стоятъ они на Бзыби, стоятъ предъ лицомъ врага, готоваго каждый часъ вторгнуться въ ту землю, которая ненавистна для революціи.

Грудью своею воины республики противостоятъ войскамъ реакціи.

Въ моментъ затишья, какъ и въ минуту боя, готовы они къ битвѣ, готовы умереть за родину, за свободу.

И долгъ гражданъ дать увѣренность тѣмъ, кто тамъ вдали отъ близкихъ ждетъ призыва къ сраженію, что за ними вся страна, что ихъ не забыли, что подвигъ ихъ чтутъ, что ихъ любятъ тѣ, кто остался въ тылу.

Въ день фронта каждый гражданинъ республики, каждый честный демократъ, нашедшій убѣжище въ ея предѣлахъ, исполнятъ, мы вѣримъ, свой долгъ предъ защитниками родной земли, предъ бойцами за идеалы революціи.

Мы вѣримъ, что „день фронта" радостно наполнитъ сердца нашихъ воиновъ на фронтѣ.

Мы вѣримъ, что узнавъ о томъ сочувствіи, съ какимъ встрѣтили этотъ день граждане страны въ тылу, скажутъ солдаты республики:

— Насъ помнятъ, насъ знаютъ, намъ вѣрятъ.

— И мы, никогда не обманывавшіе довѣріе къ намъ своей страны, и теперь оправдаемъ ее предъ наступающей на нашу землю реакціей!

Л. Кремеръ.

## ფრონტზე მყოფთ!

სალამი და გამარჯობა თქვენ, ვინც იკისრეთ დიდი მოვალეობა სამშობლოს და დემოკრატიის წინაშე: დაცვა შავი რეაქციისაგან რევოლიუციის მონაპოვართა და დემოკრატიული რესპუბლიკის. განვლილი წლის განმავლობაში მე არა ერთხელ მინახავს ფრონტი, გამიზიარებია მისი ჭირი და ლხინი მინახავს თქვენი თავგანწირული, შეგნებული მოქმედება. მინახავს სუსხიან ზამთარში, საშინელ ყინვებში, წვიმაში და ქარ-ბუქში წინა პოზიციებზე ტყეებში და მთა-ღრეებში თქვენი იმედიანი გამომეტყველება; მინახავს საშინელ პაპანაქებაში თქვენი გმირული მოქმედება; მინახავს, როგორ ძმურათ ერთ ფრონტს იცავდა გვარდია, მეორეს ჯარი და შეტევის დროს, მძიმე წუთებში, ხან გვარდია ეკვეთებოდა მტერს ჯარის დასახმარებლათ, ხან ჯარი გვარდიის გასამაგრებლათ. ორივე ერთად იზიარებდა ომის მძიმე პირობებს და ორივე ერთათ უშვერდა მკერდს მტერს სამშობლოს დასაცავათ.

ეკატერინეფელდი და შულავერი, აწყურის ხეობაში მტკვრის მარჯვენა და მარცხენა ნაპირები, დუშეთი და საჩხერე, ლეჩხუმი და სამეგრელო, ეხლა ბზიბი და მუხადირი ორმა ერთათ შეერთებულმა, შედუღებულმა მარჯვენამ იხსნა განადგურებისაგან და რეაქციის გაბატონებისაგან.

ერთათ ამასთან მე ისიც მინახავს და მიგრძნია, როგორი სასოებით თქვენ თავდადებულ მოქმედებას შემოჰყურებდა მთელი ერი და მისი მთავრობა. ჩვენს ცხოვრებაში იყო არა ერთი წუთი, როდესაც თქვენ გამბედაობაზე, თავდადებაზე და შეერთებულ მოქმედებაზე იყო დამოკიდებული მთელი საქართველოს ბედი, და თქვენც არა ერთხელ დაუმტკიცეთ მათ, ვისაც შავი ზეწარი სურდათ გადაეფარებინათ ჩვენი ერისათვის, რომ რევოლიუციონურ დროშას თქვენ არავის დაანებებთ და დემოკრატიის ინტერესებს არავის გაათელვინებთ.

ვინ მოსთვლის რამდენი გმირული, თავდადებული თქვენი მოქმედება მე მინახავს! დადგება დრო, როდესაც თქვენი გმირობის ისტორია დაიწერება და იქ ყველა თქვენი ნაბიჯი აღნუსხული იქნება.

დღევანდელი „ფრონტის დღე" კი თქვენდამი თანაგრძნობის დღეა. დღეს ჩვენი ერი იგონებს მათ, ვინც სახელოვანათ დაეცა ბრძოლის ველზე, თანაგრძნობას გიცხადებს თქვენ, ვინც იცავთ მის დამოუკიდებლობას, რაც კი ვინმეს რამე გააჩნია, თქვენ საჭიროებისათვის და სასიამოვნოთ მოაქვს, და კრულვით იხსენიებს მათ, ვინც სამშობლოს დაცვას გაურბის და ლაჩრულად მტერს ემალება.

დღეს მთელი ქართველი ერი თქვენთან არის!

დღეს და მუდამ თქვენი აქ დარჩენილი ამხანაგები თქვენთან არიან!

მეც თქვენთან ვარ, თავისუფლების დამცველნო!

გაგიმარჯოთ! გრ. გიორგაძე

## ფრონტის დღეს

—

დღეს ფრონტის დღეა, დიდი დღეა.

საქართველოს ფირუზ ცაზე ამობრწყინებული თავისუფლების მზე აქათქათებულ დაჭიხარის მებრძოლთა ფრონტს. ჩვენი სი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ВСЕ ДЛЯ НАШИХЪ ВОИНОВЪ

ცოცხლდე, ჩვენი იმედი და ნუგეში გვარდია და ჯარი გმირულად ამართულა კავკასიის ქედის ერთ უდიდებულესზე და არწივისებურად გასცქერის ყვავ-ყორნების შავ ბანაკს.

და საქართველოს თავისუფალი დროშები ამაყად ფრიალებენ იმ ქედზე, რომელზედაც ამირანი იყო მიჯაჭვული და რომლის გულსაც ის ყვავ-ყორნები ისე უწყალოდ სწიწკნიდნენ და სძიძგნიდნენ.

ახლა კი ჯაჭვ-გაწყვეტილი ამირანის გამთელებული და გაერთიანებული გული აქ ზღვასავით გმირულად ტოკავს და ციდან მოტანილ ცეცხლს მრისხანედ აფრქვევს, აკვესებს.

მთელი მებრძოლი ერთი გრძნობით შედუღებული და თავისუფალი სამშობლოს სიყვარულით ანთებული მრავალ-ფეროვანი საქართველო აქ ერთ თაიგულად შეკონილიყო და ერთ სულად ქცეულიყო; ყველა ბრძოლის ფერხულში უშიშრად ჩაბმულიყო და წარბ-შეუხრელად ელოდა მტერს.

ლოდინმა გული დალია; ლოდინმა მოთმინების ფიალა აავსო; თვეობით ცდამ მებრძოლნი აწამა, ჯოჯოხეთი გამოატარა.

მაგრამ გაკაჟებული, გაფოლადებული ფრონტი არ დრკება, კრინტსაც არა სძრავს; ის ითმენს, მაინც ითმენს და უცდის.

ფრონტი მაინც უცდის და ელის; ელის თავის გამობრძმედილი ჭადარა გენიას ნიშანს; უცდის თავის ვალიკოს ყივილს, უცდის მის გრგვინვას, რომ უცბათ მეხსავით აჭექ-აქუხდეს და ყვავ-ყორნებს ცის რისხვათ დაატყდეს.

ამიტომაც არის, რომ თბილისი, როგორც დედა ქალაქი თავისუფალი სამშობლოსი თავისი მებრძოლი შვილის დღეს ასე ზღვასავით აღტოკებულა, ამღელვარებულა; და შუბლ-გახსნილი მთაწმინდის სანახებიც საზეიმო ღიმილით აღთოვლებულა, აიამაშებულა.

სახე-გაბრწყინებული ქალი და კაცი, დიდი და პატარა, მოხუცი და ახალ-გაზრდა ერთი ფიქრით, ერთი გრძნობით გამსჭვალული; და ყველგან ისმის განუწყვეტლივ: „დღეს ფრონტის დღეა, დიდი დღეა; დაეხმარეთ ფრონტს“!

აგერ პატარები, ბედნიერი ბავშვები ფულებით და კალათებით ხელში დაქრიალებენ, დაწრიალებენ, „დღეს ფრონტის დღეა, დაეხმარეთ ფრონტს, დაეხმარეთ ჩვენი მებრძოლების ცოლ-შვილს“! წკრიალით ისმის მათი უმანკო ხმა; აგერ თავ-ბრუ-დასხმულნი, მოხიბლულნი ახალ-გაზრდა ქალ-ვაჟნი თავ-დავიწყებულნი დაჭქრიან, დაფრინავენ და გამვლელ-გამომვლელთ თმარიანათ შესძახიან: „მოქალაქენო, ფრონტის დღეა, მოიხადეთ თქვენი წმიდა ვალი ჩვენი მებრძოლი გვარდიისა და ჯარის წინაშე“.

აგერ ჩვენი მოკავშირე აზერბეიჯანის ხალხის ერთგული შვილებიც თათრის მოედანზე: „დღეს ჩვენი საერთო ფრონტის დღეა; საქართველოს და აზერბეიჯანის ძმობის დღეა, გაუმარჯოს მათ ერთობას“!.

აგერ ჯგუფი, სახე-მოღუშული, გულ-ჩათუთქული სომეხი ვაჭრებისა თავისუფლების მოედანზე ქარვასლის გვერდით. „მოქალაქენო, დაეხმარეთ ფრონტს“, მიდიან მათთან ახალგაზრდები. და ხდება სასწაული; სპეკულიანტი ვაჭრების სინიდისიც იღვიძებს, სირცხვილის ცეცხლი სწვავს მათ და მოქალაქობრივი მოვალეობა მათ სქელ ქისას აძებნინებს. „დაშნაკცაკანებმა დაგვღუპეს, მეზობლებმა გამოგვწყვიტეს, წუთი სოფელში გამოგვასალმეს, თავი მოგვჭრეს“, — იძახის ერთი მათგანი განწირულის ხმით, და უხვათ უშვებს ყულაბში ქაღალდის ფულს.

„დღეს ფრონტის დღეა“, — ღაღადებს დედა ქალაქი; „დაეხმარეთ ფრონტს“, ბანს აძლევს მას მთელი საქართველო.

„გაუმარჯოს გვარდიას, ჩვენი გულის ვარდიას“, ისმის სოფლებიდან, სადაც პაპანაქებაში ოფლში მცურავი და გულ-გაღელილი მეთაური მომკელებთან ერთად ჭოთ-ჭენით დასწუწავს თავისი სოფლის ფრონტზე მეომარ გვარდიელის გაფიცხებულ უბანს და გალესებული ნამგლით ლომსავით ტრიალებს,

„გაუმარჯოს რესპუბლიკის სახელოვან ჯარს და გვარდიას, ამ ჩვენი ორი თვალის ჩინს“, ისმის საქართველოს ყოველი კუთხიდან.

„გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს“, ისმის თვით მამაპაპათა ძველ და მებრძოლთა ახალ საფლავებიდან.

ი. ირემაშვილი

## Право войны.

Свои классовые интересы и свою классовую жестокость буржуазія всегда старалась и старается замаскировать лицемѣрнымъ воспѣваніемъ своей личной гуманности и добродѣтели. Все, что она за время своего господства создала въ области международнаго права, въ частности — въ области права войны, она при помощи цѣлой своры продажныхъ „правовѣдовъ“ и моралистовъ выдаетъ за торжество гуманности и человѣколюбія.

Если вѣрить тому, что поютъ сирены буржуазнаго міра, нашъ кошмарно — кровавый вѣкъ нужно признать самымъ счастливымъ періодомъ исторіи человѣчества.

Въ чемъ же заключается „гумманость“ буржуазнаго строя въ отношеніи войны и международнаго права войны?

Войны въ древнее время и въ средніе вѣка сопровождались полнымъ разграбленіемъ покоренной страны и избіеніемъ населенія, непринимавшаго непосредственнаго участія въ военныхъ дѣйствіяхъ. Теперь же собственность и жизнь мирнаго населенія остаются въ безопасности, въ чемъ надо усматривать проявленіе гуманитарныхъ идей буржуазіи.

Прежде плѣнныхъ не брали, а просто убивали, а теперь обращаются съ ними такъ же гуманно, какъ съ собственными солдатами. Слѣдовательно, войны стали совсѣмъ „нѣжными“.

Въ дѣйствительности же превращенія въ способахъ веденія войны обусловлены не гуманностью буржуазнаго міра, а классовыми интересами имущихъ.

Прежде предавали разграбленію покоренную страну, потому что этого требовала необходимость содержанія наемнаго войска. Если теперь этого не дѣлаютъ, то исключительно потому, что буржуазія съ священнымъ трепетомъ чтитъ частную собственность и расходы на веденіе войны покрываетъ косвенными налогами на бѣднѣйшіе классы общества. Прежде убивали побѣжденныхъ, чтобы завладѣть ихъ собственностью. Теперь же въ этомъ нѣтъ надобности, такъ какъ капиталистическая система даетъ буржуазіи полную возможность „законнымъ“ образомъ эксплоатировать побѣжденную страну. Прежде плѣнныхъ убивали потому, что не было надобности въ ихъ трудѣ. Теперь же, когда война требуетъ не только солдатъ, но и рабочихъ для обслуживанія милліонныхъ армій, нѣтъ расчета убивать плѣнныхъ, ибо они представляютъ безплатную рабочую силу. Прежде войны дрались „безъ пощады“, т. е. пока одинъ изъ нихъ не ляжетъ мертвымъ у ногъ убійцы.

Теперь же оставляютъ въ живыхъ тѣхъ, кто сдаются. Здѣсь опять таки никакъ нельзя усматривать гуманность нашего времени. Все дѣло здѣсь въ „преимуществахъ“ современной военной техники. Бои происходятъ на большихъ разстояніяхъ и сдаваться приходится не отдѣльнымъ лицамъ, а цѣлымъ арміямъ.

Прежде раненыхъ или вовсе не подбирали, или же уходъ за ними былъ совершенно неудовлетворительнымъ. Теперь же армію сопровождаетъ цѣлый кадръ врачей и санитаровъ со всѣми медицинскими принадлежностями. Въ дѣйствительности же отъ этого смертности среди раненыхъ ничутъ не уменьшается. Во-первыхъ, пораненія современными пулями и шрапнелью носятъ тяжелый характеръ вслѣдствіе прорыва артерій и внутреннихъ органовъ и, во-вторыхъ, во время сраженія помощи раненнымъ невозможна, такъ что большинство раненыхъ умираетъ прежде, чѣмъ имъ на помощь поспѣваетъ санитарный персоналъ.

Всѣ эти факты получили ужасное подтвержденіе во время послѣдней войны, и поэтому всякіе разговоры о гуманности современной войны лишены какой бы то ни было реальной почвы. Какъ въ машинномъ производствѣ буржуазія безжалостно эксплоатируетъ рабочую силу, точно такъ же она при усовершенствованной военной техникѣ безжалостно истребляетъ на поляхъ сраженій пролетарскія массы.

